ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ასირიოლოგია / Assyriology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ასირიოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in Assyriology
სპეციალობა: ასირიოლოგია/ Assyriology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
ოთხი სემესტრი (120 კრედიტი)
სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 90 კრედიტი - პროგრამის სასწავლო კომპონენტი, აქედან: 60 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები; 30 კრედიტი - არჩევითი საგნები ჰუმანიტარული პროფილის სხვა პროგრამებთან; 30 კრედიტი - პროგრამის კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

ასირიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას ასირიოლოგიის (შუმეროლოგია-აქადოლოგიის და ხეთოლოგიის) მიმართულებით. მისი მიზანია პროფესიონალი ასირიოლოგის აღზრდა და მომზადება, რასაც საფუძველი დაედო ასირიოლოგიის ბაკალავრიატის ოთხწლიანი კურსით: მაგისტრატურის პროგრამა წარმოადგენს ასირიოლოგიის ბაკალავრიატის კურსის ლოგიკურ გაგრძელებას ახალ, გაღრმავებულ დონეზე. პროგრამა მიმართულია ბაკალავრიატში შეძენილი ძველი წინა აზიურ ცივილიზაციათა ენების, მათი დამწერლობის, ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის საბაზისო ცოდნის გაღრმავებისაკენ და რეალურ საფუძველს შეადგენს ასირიოლოგიის დოქტორანტურის კურსისათვის.

ასირიოლოგიით – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ენებით, ისტორიის, სოციალური ურთიერთობების საკითხებით, კულტურით, რელიგიის და არქეოლოგიის პრობლემატიკით ქართველი მეცნიერები დაინტერესდნენ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში. ასირიოლოგიის კათედრა ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შეიქმნა. დიდი ქართველი მეცნიერი იმთავითვე გრძნობდა ამ დარგის შესწავლის აუცილებლობას და ძველაღმოსავლურ საზოგადოებებთან ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიულ-კულტურული კავშირების ძიება საშურ საქმედ მიაჩნდა. აღნიშნული მიმართულება, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მხოლოდ პეტერბურგსა და თბილისში, ხოლო ევროპასა და ამერიკაში წამყვან უნივერსიტეტებში არსებობდა და დღესაც არსებობს. კათედრას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს უნივერსიტეტებან, ასირიოლოგიისა და ძველაღმოსავლური ცივილიზაციების ცენტრებთან, მაგისტრის მომზადებისას პროგრამა ხელმძღვანელობს სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტებით და გამოცდილებით, ასევე ორიენტირებულია პროგრამით მინიჭებული დარგობრივი კომპეტენციებითა და

ტრანსფერული უნარებით აღჭურვილი მაგისტრის თანამედროვე ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში წარმატებით დასასაქმებლად. პროგრამა ასევე აძლევს მაგისტრს შანსს, სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების უფრო მაღალ საფეხურზე – დოქტურანტურაში ძირითადი ან მომიჯნავე სპეციალობით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ასირიოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1. კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული ბაკალავრის ხარისხი:

   ა) აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი ასირიოლოგიის სპეციალობით;

   ბ) BA ხარისხი სხვა სპეციალობით, ოღონდ ბაკალავრიატში სწავლისას მას გავლილი უნდა ჰქონდეს ასირიოლოგიის დამატებითი (minor) სპეციალობა ან დაგროვილი უნდა ჰქონდეს ასირიოლოგიის პროგრამიდან მინიმუმ 25 კრედიტი კონცენტრირებულად ასირიოლოგიის მაპროფილებელ დისციპლინებში; გააჩნდეს სპეციალობის გამოცდის ჩაბარებისთვის საჭირო ცოდნის დონე.
2. ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
3. უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
4. წერითი გამოცდა სპეციალობაში აქადურ ენაში.

სწავლის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება:

ასირიოლოგიის მაგისტრატურის სრული კურსის გავლის შედეგად მაგისტრს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ასირიოლოგიის სამეცნიერო დისციპლინის ყველა მიმართულების შესახებ: ძველი წინა აზიის ენები (აქადური, შუმერული, ხეთური), მათი დამწერლობა, ენობრივი სისტემები, რეგიონის ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, რელიგია.

1.1	ძველი წინა აზიური ენების, ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორის, რელიგიისა და პალეოგრაფიის პრობლემატიკის ღრმად დაუფლება.	**აქადური ტექსტები 1** **აქადური ტექსტები 2** **შუმერული ტექსტები 1** **შუმერული ტექსტები 2** **ხეთური ტექსტები 1** **ხეთური ტექსტები 2** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 1** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 2** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ხელოვნებაში** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ისტორიაში** **სპეცკურსი ხეთურ რელიგიაში** **ძველი წინა აზიის პალეოგრაფია** (სავალდებულო დისციპლინები)
1.2	ძველი წინა აზიის ლიტერატურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ჟანრებისა და ორიგინალების პროფესიულ დონეზე ანალიზი.	**აქადური ტექსტები 1** **აქადური ტექსტები 2** **შუმერული ტექსტები 1** **შუმერული ტექსტები 2** **ხეთური ტექსტები 1** **ხეთური ტექსტები 2** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 1** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 2** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ხელოვნებაში** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ისტორიაში** **სპეცკურსი ხეთურ რელიგიაში** (სავალდებულო დისციპლინები)
1.3	ორიგინალ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა.	**აქადური ტექსტები 1** **აქადური ტექსტები 2** **შუმერული ტექსტები 1** **შუმერული ტექსტები 2**

		ხეთური ტექსტები 1 **ხეთური ტექსტები 2** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 1** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 2** **სპეცკურსი ხეთურ რელიგიაში** (სავალდებულო დისციპლინები)
1.4	ძველი წინა აზიურ ენებზე შესრულებული ტექსტების ორიგინალში კითხვა, ტრანსკრიპცია, ტრანსლიტერირება, თარგმნა. შინაარსობრივად მათი აგებულების შესწავლა და გაანალიზება.	**აქადური ტექსტები 1** **აქადური ტექსტები 2** **შუმერული ტექსტები 1** **შუმერული ტექსტები 2** **ხეთური ტექსტები 1** **ხეთური ტექსტები 2** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 1** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 2** **სპეცკურსი ხეთურ რელიგიაში** (სავალდებულო დისციპლინები)
1.5	სამხრეთ შუამდინარეთში ხელოვნების, როგორც კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრის გაჩენის შესწავლა და შუმერების მიერ ამ ფაქტის სრული გაანალიზება, რაც მაგისტრანტს დაეხმარება თავად გააცნობიეროს შუამდინარული ხელოვნების ღირებულება.	**სპეცკურსი ძველი წინა აზიის ხელოვნებაში** (სავალდებულო)
1.6	შუამდინარული ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების, შუამდინარული ცივილიზაციის ძველაღმოსავლურ კონტექსტში გააზრება.	**სპეცკურსი ძველი წინა აზიის ისტორიაში** (სავალდებულო დისციპლინები)
1.7	ხეთური რიტუალების სტრუქტურის შესწავლა.	**სპეცკურსი ხეთურ რელიგიაში** (სავალდებულო)
1.8	ლურსმული დამწერლობის ნიმუშების, თიხის ფირფიტების ფორმატისა და პალეოგრაფიის დაუფლება, ლურსმული დამწერლობის განვითარების სხვადასხვა	**ძველი წინა აზიის პალეოგრაფია** (სავალდებულო)

	ეტაპებს შორის მსგავსება–განსხვავებათა გააზრება.	
1.9	მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	**უცხოური ენა** (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული)1,2

ბ) **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**:

ასირიოლოგიის მაგისტრატურაში მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება მაგისტრს შეუძლია შემდეგი მიმართულებებით:

ა) დამოუკიდებლად დაამუშაოს ძველი წინა აზიის ენებზე (აქადური, შუმერული, ხეთური) შესრულებული სხვადასხვა შინაარსის სწავლების სამაგისტრო დონისთვის დასაძლევი სირთულის ტექსტები – შეადგინოს მათი ტრანსლიტერაცია, თარგმანი და ისტორიულ–ფილოლოგიური ანალიზი.

ბ) არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ლურსმული დამწერლობით შესრულებული თიხის ფირფიტების დამუშავება.

გ) დამუშავებული მასალის ელექტრონული ვერსიების შექმნა და საერთაშორისო მიმოქცევისათვის მომზადება.

2.1	სილაბარის და ლექსიკონის დახმარებით ტექსტების დამუშავება;	**აქადური ტექსტები 1** **აქადური ტექსტები 2** **შუმერული ტექსტები 1** **შუმერული ტექსტები 2** **ხეთური ტექსტები 1** **ხეთური ტექსტები 2** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 1** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 2** **სპეცკურსი ხეთურ რელიგიაში** (სავალდებულო დისციპლინები)
2.2	ხელოვნების და სახვითი ხელოვნების განვითარების ძირითად ეტაპებში გარკვევა. ძველი წინა აზიის ხელოვნების ნიმუშების შესაბამისად აღქმა და გააზრება;	**სპეცკურსი ძველი წინა აზიის ხელოვნებაში** (სავალდებულო)
2.3	შუამდინარული ცივილიზაციის, როგორც მსოფლიო ლიტერატურის საფუძვლის გაცნობიერება;	**სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 1** **სპეცკურსი ძველი წინა აზიის**

		ლიტერატურაში 2 **სპეცკურსი ძველი წინა აზიის ისტორიაში** (სავალდებულო)
2.4	სხვადასხვა ტიპის ხეთური რიტუალების მსგავსება–განსხვავების ანალიზი.	**სპეცკურსი ხეთურ რელიგიაში** (სავალდებულო)
2.5	სხვადასხვა ტიპის თიხის ფირფიტებისა და ნიშანთა სტრუქტურის მსგავსება–განსხვავების დადგენა.	**ძველი წინა აზიის პალეოგრაფია** (სავალდებულო)
2.6	მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში	**უცხოური ენა** (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული)1,2

გ) **დასკვნის უნარი:**

პროგრამაში დამუშავებული მასალის კრიტიკული ანალიზის და სინთეზის საფუძველზე განზოგადებული დასკვნების დამოუკიდებლად ჩამოყალიბების უნარი. ცოდნის ინტეგრირების უნარი; განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და კვლევითი მეთოდების გამოყენებით.

დ) **კომუნიკაციის უნარი:**

ა) საჯარო გამოსვლების, სამეცნიერო მოხსენებების, პრეზენტაციების ჩატარების უნარი.

ბ) სწავლის შედეგად შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეეძლება დარგის ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე მაღალპროფესიული და კომპეტენტური ურთიერთობა როგორც ქართველ ისე უცხოელ კოლეგებთან, აკადემიურ წრეებში; თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე.

ე) **სწავლის უნარი :**

დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს განუვითარდება სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, შეეძლება სწავლის შემდგომი პროცესის თავისებურებების

გაცნობიერება; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, დაგეგმვა, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

ვ) ღირებულებები:

პროგრამაში შემავალი კურსების მეშვეობით მაგისტრანტები ითავისებენ აკადემიური ეთიკის ნორმებს, სასწავლო პროგრამის ყოველი ცალკეული მონაკვეთის დამუშავებისას არსებული სამეცნიერო თვალსაზრისების გაცნობა–შეჯერება და მათ საფუძველზე საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბების უნარი მათ უვითარებს სხვისი აზრის პატივისცემის, შემწყნარებლობის უნარს. ისინი არიან ზოგადჰუმანისტური ფასეულობების მატარებელნი.

ასირიოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამა აგებულია ინტერაქტიულ სწავლებაზე. ლექციის, სამუშაო ჯგუფებში მუშაობის, პრეზენტაციების, დისკუსიების, შუალედური და ფინალური შეფასებების ფორმატში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სტრატეგიები:

ა) სტრატეგია "ექსპერტი/გაზიარება";
ბ) სტრატეგია "ვენის დიაგრამა";
გ) სტრატეგია "321" ;
დ) სტრატეგია "იფიქრე – დაწყვილდი – გაუზიარე";
ე) სტრატეგია "შედარება–შეპირისპირების დიაგრამები";
ვ) სტრატეგია "სემანტიკური მონაცემების სქემა";
ზ) სტრატეგია "პრეზენტაცია".

მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ღამბაშიძე

დასაქმების სფეროები:

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს ასირიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, უფლება ეძლევა:

- სწავლა გააგრძელოს დოქტურანტურაში;
- დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო);
- იმუშაოს სასწავლო დაწესებულებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლოგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობებში. ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში;
- იყოს ექსპერტი ორიენტალური სიძველეების განხრით.

დამატებითი ინფორმაცია:

ასირიოლოგიის მაგისტრანტს ეძლევა შესაძლებლობა ითანამშრომლოს "ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოებასთან" (www.sabc.ge), რომელიც ხელს შეუწყობს მის პროფესიულ განვითარებას და აგრეთვე შეეცდება მის დასაქმებას პროფესიდან გამომდინარე.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ასირიოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თსუ აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, მკვლევრები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასირიოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას.

ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ასირიოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.